სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

23/01/2025

MES 2 25 0000048936

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (ერასმუს+) ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-04/02 დადგენილების შესაბამისად, სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2025 წლის 21 იანვრის MES 3 25 0000038244 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო და 2025-2026 წლის საშემოდგომო სემესტრებისთვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში (ერასმუს+) მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- **თამარ ლომინაძე –** ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- **დავით მახვილაძე** - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- **თეა მურვანიძე** - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
- **მიხეილ ჯანიკაშვილი** - მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;

- **ზაზა ბუაჩიძე** - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი;
- **ნონა გოგსაძე** - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- **დავით ლეშკაშელი** - სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი/;
- შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი.

2. დაევალოს კომისიას:

ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს კონკურსისთვის გამოცხადებულ ვადებში.

ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის წესის დამტკიცების თაობაზე“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 იანვრის №01-05-04/02 დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს, თამარ ლომინაძეს.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით